ჩემი ჰვალენტინები!

გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! ოჯახი ბავშვობა, ბედნიერი და ნათელი მომავლის მისაფრენია თქვენთვის! ოჯახში, თერგდალეგი ლოგინი ყოთიერეთ თქვენ ცხოვრებაში.

მაკა ჭყონია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი

საკრებულოში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებთან ერთად აღნიშნეს

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ", საკრებულოში ის ბავშვები მიიწვია, რომელთაც განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდებათ.

საკრებულოს სხდომათა დარბაზში უჩვეულო გარემო იყო. საკრებულოს წევრებმა შვილებთან ერთად, ბავშვებს, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ საზეიმო ღონისძიება მოუწყვეს. ტკბილეული, ნაყინი ,საჩუქრები პატარებისთვის და საყვარელი მულტფილმების გმირები, პატარების სადღესასწაულო განწყობაზე ზრუნავდნენ.

„მართლაც უჩვეულო გარემოა დღეს საკრებულოში, ყოველდღიური სამუშაო რუტინა ბავშვების ჟრიამულმა შეცვალა. გილოცავთ პატარებო დღევანდელ დღეს, თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე და მომავალი. ვულოცავთ თქვენთან ერთად ყველა ბავშვს. გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებული გოგო-ბიჭები გაზრდილიყავით ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ" - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით დარჩიამ.**

ფრაქცია "ქართული ოცნების " ინიციატივას კომპანიები: „მოდერნი", „ჩემიმარკეტი", „ნაყინი პინო", გასართობი ცენტრი „ზღაპარი" შეუერთდა, რისთვისაც საკრებულოს წევრები მადლობას უხდიან მათ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მთელს მსოფლიოში, 1 ივნისს, 1950 წლიდან აღინიშნება.

დ

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 22 (10267) 4 ივნისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

„არავის იმპიჩმენტი და არც გადაყენება არ იგეგმება"

ალიონი. 27 მაისს, ადგილობრივ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოზურგეთის მერის შესაძლო იმპიჩმენტის და საკრებულოს თავმჯდომარის შესაძლო გადაყენების სამზადისთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" დეპუტაცია, სასწრაფოდ თბილისში, პარტიის ცენტრალურ ოფისში დაიბარეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ალიონი" პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მერაბ ჭანუყვაძეს** დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა:

—ბატონო მერაბ, საუბრობენ, რომ „ქართული ოცნების" დეპუტატები თბილისში მიემგზავრებიან, პარტიის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად. თქვენ, როგორც ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე რას იტყვით ამ საკითხთან დაკავშირებით?

— გეტყვით, რომ პარტია „ქართული ოცნების" ცენტრალურ ოფისში დაგეგმილია რიგითი სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრები.

— ბატონო მერაბ, ასევე საუბრობენ, რომ თბილისში დეპუტატების წაყვანა მერის იმპიჩმენტს და საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებას უკავშირდება. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

—როგორც მოგახსენეთ ეს არის რიგითი სამუშაო შეხვედრა. არავის იმპიჩმენტი და არც გადაყენება არ იგეგმება. ჩემთვის გაუგებარია რამ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი.

29 მაისს, ოზურგეთის დეპუტაცია თბილისში გაემგზავრა.

ოზურგეთში დაბრუნების შემდეგ, გაზეთი „ალიონი" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული

გვ-2

სტუმარი

ეკონომიკის განვითარებაში, ახალ მიმართულებებთან ერთად, სიურპრიზებსაც უნდა ველოდოთ

ალეკო მამეშვილი არა მხოლოდ „ალიონისთვის", არამედ მთელი ოზურგეთისთვის შინაური კაცია, მაგრამ, რადგან ის ამ ცოტა ხნის წინათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი გახდა, მაინც სტუმრად მივიჩნიეთ და მასთან ინტერვიუს შესაბამისი რუბრიკით ვაქვეყნებთ.

— ბატონო ალეკო, პირველ რიგში, გილოცავთ კონკურსში გამარჯვებასა და საჯარო სამსახურში დაბრუნებას. რამდენადაც ვიცი, უკვე შეუდექით საქმიანობას. როგორი სიტუაცია დაგხვდათ?

— დიდი მადლობა. თითქმის ათი დღეა, რაც ამ ახალ სამსახურში ვარ, რომელიც ხუთ განყოფილებას მოიცავს ეკონიმიკის განვითარების მიმართულებებით.

— საინტერესოა. ბარემ ჩამოვთვალოთ, რა განყოფილებებია.

— ეს გახლავთ სოფლის მეურნეობის განვითარების, ტურიზმის, შრომითი ბაზრის კვლევისა და განვითარების, საინვესტიციო და ქონების მართვის განყოფილებები. მივიჩნევ, რომ ზუსტად ეს ხუთი განყოფილება უნდა იყოს ამ სამსახურში და ემსახურებოდეს ეკონომიკის განვითარებას.

— ეს სტრუქტურა დაგხვდათ თუ თქვენ ააგეთ?

— ეს სტრუქტურა დამხვდა და მომწონს, ნამდვილად კარგი სტრუქტურაა. კონკურსი რომ გამოცხადდა, მაშინ გავეცანი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში უკვე ვიცოდი, რა საკითხებზე უნდა მემუშავა. ჩემს აქ მოსვლამდე თითქმის ექვსი თვე იმუშავა ამ განყოფილებებმა და დამხვდა კიდეც ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

რაც ამ განყოფილებებთან ერთად უნდა გავაკეთო, არის ის, რომ სამსახურმა, პირველ რიგში, ოპერატიულად მოემსახუროს დაინტერესებული მხარეს. მეორე მიმართულება, რაზეც ყურადღებას გავამახვილებთ, ეს არის თანამშრომლების კვალიფიკაცია და იმ სიახლეების დანერგვა, რომელიც აუცილებელია მომსახურებისათვის. მესამე და აუცილებელი მიმართულებაა, განყოფილებებს შორის იყოს კომუნიკაცია. დღეს უკვე არ არსებობს ისეთი საკითხი, რომელსაც მხოლოდ ერთი განყოფილება გადაწყვეტს. ვთქვათ, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საჭიროა გარკვეული სამუშაოების ჩატარება. ამ შემთხვევაში სოფლის მეურნეობისა და ქონების მართვის განყოფილებებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა დაინტერესებულ მხარეს ოპერატიულად მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია.

მოკლედ, ჩვენი სამსახური სასურველი შედეგის მისაღწევად იმუშავებს სამი მიმართულებით და ეს მიმართულებებია: თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, დაინტერესებული მხარისათვის ოპერატიული მომსახურების გაწევა და უფრო ეფექტური მუშაობისათვის განყოფილებებს შორის მეტი კომუნიკაცია.

კვალიფიკაციის კუთხით უკვე მომდევნო კვირაში ვგეგმავთ თანამშრომლების პირველ შეხვედრას, სასწავლო პროგრამის გაცნობას პროექტების წერასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი (ყოფილი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი) მომდევნო კვირაში ჩაატარებს ორდღიან ტრენინგებს. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილი მაქვს, ბიზნესის გეგმების წერასთან დაკავშირებით, პირადად გავესაუბრო თანამშრომლებს და გადავცე ჩემი გამოცდილება.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ბიძინა ივანიშვილის განცხადება

31 მაისს, ქ. თბილისში 51-ე სკოლის მოსწავლეების დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის საქმის გამოძიებაში გამოკვეთილი უსამართლობის გამო გამართული მრავალათასიანი საპროტესტო აქციის შემდეგ, სადაც შვიმკვდარი მამა ზაზა სალარიძე საქართველოს გენერალური პროკურორის გადადგომას ითხოვა ირაკლი შოთაძე გადადგა.

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილმა** აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გააკეთა:

–„ხორავას ქუჩაზე მომხდარმა ტრაგედიამ მეც ისევე შემზარა, როგორც მთელი ქართული საზოგადოება. თქვენთან ერთად მეც მძაფრი ინტერესით ვაკვირდებოდი სამართლებრივი პროცესის მიმდინარეობას და დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საქმეზე მართლმსაჯულება სრულად და დროულად აღსრულდებოდა. მე პირადად ვიცნობ ირაკლი შოთაძეს და დარწმუნებული ვარ მის პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაში. მჯეროდა და მჯერა, რომ ირაკლი და მისი უწყება ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ყველა დამნაშავეს ადეკვატურად ეგო პასუხი კანონის წინაშე. სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ გამოძიების სანდოობა დაზარალებულის და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან ეჭვის ქვეშ დადგა, რასაც მთავარი პროკურორის მხრიდან მყისიერად მოჰყვა უკიდურესად ღირსეული, უმაღლესი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობით გამსჭვალული ნაბიჯი. ირაკლი შოთაძის გადადგომა არის ის სრულიად ახალი სტანდარტი, რომლის დამკვიდრება იყო „ქართული ოცნების“ თაოსნობით განხორციელებული 2012 წლის სახალხო რევოლუციის მთავარი მიზანი. კიდევ ერთხელ მინდა მივუსამძიმრო დაზარალებულ ოჯახებს და გამოვთქვა რწმენა, რომ მართლმსაჯულება ყოველ მიზეზ გარეშე აღსრულდება!“

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახური

საპროტესტო აქცია ოზურგეთშიც გაიმართა

31 მაისს, საღამოს, ოზურგეთში, იუსტიციის სახლთან შვილმკვდარი მამის, ზაზა სარალიძის მხარდასაჭერი აქცია სახელწოდებით– „ნუ მომკლავ“გაიმართა, რომლის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ იყო.

აქცია თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის საქმის გამოძიებაში გამოკვეთილი უსამართლობის მიზნით გაიმართა.

„ვუერთდები აქციას ოზურგეთში, თბილისშიც და სანამ პირში სული მიდგას, მზად ვარ წინ აღუდგე ყოველგვარ უკანონობას, უსამართლობას, უზნეობას, უსულგულობას, უმსგავსობას, უვიცობას, უტვინობას, უგულობას, უკეთურებას... მწამს, რომ ბოროტება არასდროს დარჩება დაუსჯელი“–წერს სოციალურ ქსელში ჟურნალისტი ნინო კუკულაძე.

გერმანელი პედაგოგები ნაღობილევში

გასულ კვირაში ნაღობილევის საბავშვო ბაღს, აღმზრდელის ხათუნა კობალაძის ინიციატივითა და თხოვნით გერმანიის ქალაქ რადოლფცერის „მენტაუს“ გიმნაზიის მასწავლებლები და სტუდენტები სტუმრობდნენ რობერტ რეიჩელის თაოსნობით.

გერმანელმა სტუმრებმა გიმნაზიის სოციალური ფონდიდან 500 ევროს ღირებულების ბაღისთვის საჭირო ნივთები გადასცეს ბაღს. ბავშვებმა გაიხარეს უამრავი ფერადი საჩუქარით.

არც მასპინძლები დარჩენილან ვალში და ქართული სტუმართმასპინძლობით დავხდით სტუმრებს. შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ალექსანდრე ღლონტი და მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებული სოფელ მერიაში ნუკრი ხომერიკი დაესწრნენ. მათ მადლობა გადაუხადეს გერმანელ სტუმრებს გაწეული ქველმოქმედებისთვის.

დასასრულს ბატონმა რობერტ რეიჩელმა განაცხადა, რომ ეს სოციალური აქცია არ იყო ერთჯერადი და იგი მომავალშიც გაგრძელდება.

თინათინ ცერცვაძე,
ნაღობილევის ბაღის მენეჯერი.

„არავის იმპიჩმენტი და არც გადაყენება არ იგეგმება“

საქართველოს“ თავმჯდომარეს, **გელა არუშიძეს** ესაუბრა:

–ოზურგეთის მუნიციპალიტეტ-ის საკრებულოს უმრავლესობის წევრები ვიყავით ქ. თბილისში, პარტიის ცენტრალურ ოფისში. გარდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრებისა, თბილისში იყვნენ ფრაქციების: „ქართული ოცნება-კონსერვატორების,“„ქართული ოცნება-მრეწველების,“ „ქართული ოცნება-მწვანეების“ წევრები, სულ 28 დეპუტატი.

–საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გვაინტერებს, ვის შეხვდით და რა თემებზე იყო საუბარი?

–მუშა შეხვედრა გვქონდა, პარტიის ხელმძღვანელებთან, კერძოდ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რეგიონული განყოფილების უფროსს დიტო სამხარაძესთან. შეხვედრას ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე ესწრებოდა, რომელიც იმავდროულად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრია.

როგორც იცით, შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნებია და შეხვედრის თემა სწორედ საარჩევნო სამზადისი იყო.

–ბატონო გელა, თქვენს თბილისში გამგზავრებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეხვედრაზე საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის იმპიჩმეტის საკითხებზე იქნებოდა საუბარი..

–არ ვიცი, ვის სჭირდება ეს ჭორი, მაგრამ გეტყვით, ასეთ თემებზე საერთოდ არ გვისაუბრია. ბატონმა დიტო სამხარაძემ ახლაც განაცხადა, რომ იგი ყოველთვის მხარს უჭერს ხალხის არჩევანს.

„პროგრესის სახლისა“ და გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის პროგრესული პროექტის პრეზენტაცია

ალიონი. გეცოდინებათ, მაგრამ მაინც: რებრენდინგის შედეგად, 2018 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბს ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“ ეწოდა. ისიც გეცოდინებათ, რომ უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ სახელდებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, არანაკლებ ავტორიტეტულ გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან ერთად, განახორციელა პროექტი „თანამშრომლობა ქალაქ ოზურგეთში თვითმმართველობის გამჭვირვალობის და მუნიციპალური სერვისების გასაუბჯობესებლად“, რომლის საბოლოო ანგარიში ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში 31 მაისს შედგა.

პროექტის მიხედვით განხორციელებული სამუშაოები იმდენად ვრცელია, რომ მისი განთავსება არა თუ ერთ ნიუსში, არამედ რამდენიმე ვცელ საგაზეთო მასალაშიც შეუძლებელია. დაინტერესებულ პირებს მისი სრულყოფილად გაცნობა შეუძლიათ **WWW. Guria. Ge-ზე**. აქ ერთს ვიტყვით მხოლოდ: გაწეული სერვისების შეფასებისა და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის გაზომვის სისტემა უტყუარ სახელმძღვანელოდ გამოადგება ადგილობრივ ხელისუფლებას ახლაც და შორეულ პერსპექტივაშიც.

პროექტი „თანამშრომლობა ქალაქ ოზურგეთში თვითმმართველობის გამჭვირვალობის და მუნიციპალური სერვისების გასაუბჯობესებლად“ განხორციელდა ევროპის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტის ფარგლებში.

„კარცერ ლუქსის“ მორიგი საღამო

ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის VII-1 კლასის (პედაგოგი – მაია ღლონტი) შემეცნებითი პროექტი „კარცერ-ლუქსი“ ჩვენს საზოგადოებაში კარგა ხანია დიდი პოპულარობით სარგებლობს. 29 მაისს ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ხსენებული პროექტის მორიგი საღამო, სადაც წარმოდგენილი იყო რეი ბრედნერის „ბაბუაწვერას ღვინო“, ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“, დანიელ დეფოს „რობიზონ კრუზო“, ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, ალექსანდრე ბელიაევის „ადამიანი ამფიბია“.

საღამოზე დამსწრე საზოგადოებამ პრეზენტაციები გულთბილად მიიღო

სტუმარი

ეკონომიკის განვითარებაში, ახალ მიმართულებებთან ერთად, სიურპრიზებსაც უნდა ველოდოთ

რაც შეეხება საქმიანობის ოპერატიულობას: მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოხდეს მოსახლეობის ინტერესებზე რეაგირება. უფრო ოპერატიულად უნდა წარიმართოს ქონების მართვის განყოფილების საქმიანობა. მხედველობაში მაქვს აუქციონებთან დაკავშირებული საკითხები. გავეცანი მოსახლეობის მხრიდან შემოსულ რამდენიმე ათეულ განცხადებას, რომელთაც სურვილი აქვთ, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები საკარმიდამოდ თუ ბიზნესის წამოსაწყებად ან განვითარებისათვის, მაგრამ ამ პროცესს ხელს უშლის ზოგიერთი საკითხი, მაგალითად, როგორიცაა აუდიტორთან დაკავშირებული საკითხები. ეს პრობლემა დამხვდა. უკვე გავეცით დავალება, ორშაბათს ხელთ გვექნება მოსახლეობის მხრიდან ქონების შესყიდვასთან ან სარგებლობასთან დაკავშირებით შემოსული ყველა განცხადება და უფრო ეტაპობრივად დავიწყებთ აუქციონის გამოცხადებას. ვმუშაობთ, ჩამოვყალიბდეთ აუქციონის ტიპზე. მერთან და ვიცე-მერთან შეთანხმებით, უპირატესობას ვანიჭებთ ელექტრონულ აუქციონს, იმიტომ, რომ გაცილებით მალე ხდება გადაწყვეტილების მიღება, ამასთან, განსაკუთრებით დაცულია საჯაროობა.

— საჯარო აუქციონს საერთოდ გამორიცხავთ?

— შესაძლებელია, საჯარო აუქციონიც გამოვიყენოთ, ეს იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებულ მხარეს არ შეუძლია კომპიუტერში განაცხადის მოძიება, ბეის გადახდის დაფიქსირება და ა. შ.

— მოსახლეობა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენს ინვესტიციების მიმართ. ხომ არ არის სიახლეები ამ თვალსაზრისით?

— ძალიან მნიშვნელოვანია საინვესტიციო განყოფილების აქტიური მუშაობა. კერძო ინვესტორების თუ სახელმწიფო პროგრამების მხრიდან ყოველ წუთს არის ინტერესი რა ინვესტიციები უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტში. ვთხოვე თანამშრომლებს და უკვე დავიწყეთ მუშაობა ამ საკითხებზე სექტორების მიხედვით, მზადება საინვესტიციო წინადადებებზე, რომელთაც შემდეგ საინვესტიციო პროექტებად ვაქცევთ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტურიზმი. მინდა, ჩვენი მუშაობის პერიოდში გარკვეული სიახლეები დავნერგოთ, გარდა საზღვაო და სამთო ტურიზმისა, კიდევ ბევრი რესურსი აქვს მუნიციპალიტეტს იგივე კულტურულ, საფეხმავლო, სამკურნალო, ბალნეოლოგიურ ტურიზმთან დაკავშირებით. გვინდა, ამ საკითხებზეც აქტიურად ვიმუშაოთ, პირობითად, ზღვაზე ჩამოსულ დამსვენებელს შევთავაზოთ,ერთი დღით ესტუმროს ოზურგეთს და გაიმრავალფეროვნოს თავისი შვებულება.

უკვე ვმუშაობთ სოფლის მეურნეობის მიმართულებით. მინდა, რომ დავიწყოთ სასწავლო პროგრამები და ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ მეზობელი რეგიონის, აჭარის გამოცდილება.

ძალიან მნიშვნელოვანია შრომითი ბაზრის კვლევა, რათა გვქონდეს ინფორმაციები რა დარგსა და რა პროფესიებზე არის მოთხოვნები. ხშირად არის, რომ ადამიანები ამთავრებენ პროფესიულ სასწავლებლებს რომელიმე კონკრეტული პროფესიის მიმართულებით და შემდეგ იმის გამო, რომ ბაზარზე მოთხოვნა შემცირდა, უკვე უჭირთ სამუშაოს პოვნა.

ჩვენ ასევე ვუკავშირდებით ბიზნესმენებს, რათა მოგვაწოდონ ინფორმაციები ვაკანსიების შესახებ, რომელსაც შემდეგ რწმუნებულებისა და დეპუტატების საშუალებით მივაწოდებთ დაინტერესებულ მოსახლეობას.

— ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ დაინტერესებული ხართ აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელებით.

— ძალიან მინდა აქტიურად უნდა დავძრა ეს პროგრამა. მივიჩნევ, რომ აუცილებელი არის ფერმერმა მოახდინოს ამ პროექტით სარგებლობა. ორი კვირის განმავლობაში მე შევხვდები ყველა სადაზღვევო კომპანიას, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს, ამ მიზნით გამოვიყენებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესურსებს. გვინდა, რომ ორი კვირის შემდეგ, სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად, გავიდეთ სოფლებში და კონკრეტულად ავუხსნათ მოსახლეობას ამ პროგრამაში ჩართულობის აუცილებლობა. სტიქია ყოველთვის მოსალოდნელია, სახელმწიფო სუბსიდირება კი უკვე ნაკლებად არის გათვალისწინებული სტიქიით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე მას შემდეგ, რაც დაიწყო აგროდაზღვევის პროგრამა. აღმოსავლეთ საქართველოში ყველა ფერმერი და მევენახე პრაქტიკულად გადასულია აგროდაზღვევის პროგრამაზე.

მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფოს აქვს არაჩვეულებრივი პროექტები სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ტურიზმის განვითარების მიმართულებით. ამ პერიოდისათვის ოთხი პროგრამა მუშაობს საქართველოში, რომელიც არის ეკონომიკის სამინისტროში და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით. ეს პროექტები უკვე სამოოთხი წელია მუშაობს. ჩემი აზრით, მათში გურია და ოზურგეთის მეტად უნდა ყოფილიყო ჩართული. პროექტების მართვის სააგენტოში ვნახე, რომ სულ გურიიდან მხოლოდ სამი პროექტი იყო წარდგენილი.

ახლა ჩემი თანამშრომლები ამზადებენ საპრეზენტაციო მასალებს. მომდევნო კვირაში სოფლის რწმუნებულებსა და დეპუტატებს გავაცნობ ოთხივე პროექტს, შემდგომ კვირაში უკვე დაინტერესებულ ფერმერებსა და მეწარმეებს დეტალურად ავუხსნით მაგალითად, როგორ მიიღოს მონაწილეობა „დანერგე მომავალის“ პროექტში. წინა თვეებში, მაგალითად, ნერგების და სარწყავი სისტემის 70 პროცენტს აფინანსებდნენ. ეს პროგრამა ერთი კვირის წინ განახლდა და კენკრის გაშენების შემთხვევაში 100 პროცენტით აფინანსებს ნერგებს დ სარწყავ სისტემას. არის ასეთი საინტერესო პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“, რომელიც აფინანსებს საოჯახო სასტუმროების მშენებლობას და გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას.

— თქვენ პროექტების მართვის სააგენტო ახსენეთ, მგონი სწორედ იქ მუშაობდით ბოლოს დროს.

— დიახ, კონსულტანტი ვიყავი. სადღაც სამი თვის განმავლობაში „ახალგაზრდა მეწარმის“ პროგრამაში 30 პროექტი გავაკეთე სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში — მესტია, ბაკურიანი, შილდა, ყვარელი, კასპი საგარეჯო ზუგდიდი. „ახალგაზრდა მეწარმის“ პროგრამაში ხუთი ოზურგეთელიც ჩაერთო.

— ვინ არიან ისინი?

— ახლა ამ ადამიანებთან საბოლოოდ ხელშეკრულების გაფორმების პროცესი მიმდინარეობს. მინდა რაღაც კარგი, ლამაზი პრეზენტაცია გავაკეთო. ვფიქრობ, ერთი ლამაზი საღამო იქნება 20-25 წლის ახალგაზრდები არიან, მათ ვინაობას სწორედ პრეზენტაციაზე შეიტყობთ. ეს იქნება ერთგვარი ოზურგეთელი საზოგადოებისათვის.

— შეიძლება ითქვას, რომ თქვენ საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსი ხართ, საინტერესო პოლიტიკური გზაც გაქვთ განვლილი. დღეს რომელ პარტიას წარმოადგენს ალეკო მამეშვილი?

— გამოცდილი პოლიტიკოსი, რა ვიცი, მგონი ცოტა ხმამაღალია. მომიწია მუშაობა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, საკრებულოს თავმჯდომარე და მივიჩნევ, რომ შევძელი გარკვეული ინიციატივების დანერგვა, განსაკუთრებით მოსახლეობის ჩართულობის მხრივ, ასე ვთქვათ, პირველი ნაბიჯების გადადგმა. მაშინ საკრებულომ არაერთი სიგელი და მადლობა დაიმსახურა აქტიური მუშაობისათვის.

რაც შეეხება პარტიულობას, მე არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, ერთადერთი, რაც ბოლო პერიოდში იყო, ეს იყო ჩემი პირადი ურთიერთობები და პატივისცემა პაატა ბურჭულაძის მიმართ და ვამაყობ, რომ პირადი გადაწყვეტილებით ვიდექი ამ იშვიათი ადამიანის გვერდით.

— და ბოლოს, ბატონო ალეკო, დღეს ბავშვთა დაცვის დღეა და ნინოობაა. გილოცავთ და „ალიონის“ სახელით ვულოცავთ თქვენს შვილებს, განსაკუთრებით ნინოს.

— არაჩვეულებრივი დღეა, ჩემი პატარა ნინიკო ბოლო ორი კვირაა თითებზე ითვლიდა, როდის იქნებოდა ნინოობა. თავის მეგობრებთან ერთად, დღეს პიცასა და ხაჭაპურზე დამპატიჟებინა თავი. გილოცავტთამ ლამაზ დღესასწაულებს.

ესაუბრა

თემურ მარშანიშვილი

ორს გაიტანენ, სამი დროში გაიწელება

ალიონი. 30 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუროს სხდომაზე სულ ხუთი საკითხი განიხილეს. პირველი ორი ეხებოდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“, ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების მიღებას.

შემდეგი ორი საკითხი ერთმანეთის იდენტური იყო: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.12.14.007) სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (ცენტრში) მდებარე 400კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემის თაობაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე გარე განათების ბოძების ოჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, 10 წლის ვადით, შპს

„მაგთიკომისათვის“ გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ბოლო საკითხი კი გახლდათ ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის“ დასაფუძნებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

როგორც სხდომის მიმდინარეობამ აჩვენა, დიდი ალბათობით, ამ ხუთი საკითხიდან მომავალ საკრებულოს სხდომაზე, რომელიც 6 ივნისს, გაიმართება პირველ ორ საკითხს გაიტანენ განსახილველად და შესაბამისი დადგენილებების მისაღებად,

რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, ალბათ, რამდენადმე დროში გაიწელება და კანონთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ, დადებითად გადაწყდება. ასე რომ, ამ საკითხებზე შესაბამისი დადგენილებების მიღების, ანუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერისათვის თანხმობის მიცემის შემდეგ შეეძლებათ: საპატრიარქოს — დაიწყოს სოფელ ოზურგეთში ტაძრის მშენებლობა; „მაგთიკომს“ — დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ქალაქ ოზურგეთში მდებარე განათების ბოძები; მუნიციპალიტეტის მერიას — შექმნას ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი“.

მაჟორიტარი

ჯემალ თავართქილაძე - სოფელი ნაგომარი

ჯემალ თავართქილაძემ სოფელ ნაგომრელთა ნდობა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში 340 (63.31%) ხმით მიიპოვა.

„ჩემი საკრებულოში საქმიანობა სხვადასხვა დარგობრივ კომისიაში ჩართულობით, ფრაქციული მუშაობითა და საკრებულო მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობით განისაზღვრება. გადაწყვეტილების მიღება უპირველესად განპირობებულია ჩვენი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მროგორც მაჟორიტარს, განსაკუთრებული ვალდებულება ჩემი თანასოფლელების წინაშე მაქვს, უპირველესი ამოცანა მუნიციპალიტეტში მაინც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სოციალური ფონის გაუმჯობესებაა. აღნიშნულ საკითხებზე ვაკეთებ აქცენტებს ჩემი სოფლის რეალობაშიც.

სოფელ ნაგომარში მოხდა ცენტრალური გზის 3 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, თუმცა სარეაბილიტაციო გაცილებით მეტია. მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები, დასრულდა ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანებაც. მოეწყო ბეტონის გზები, მაღალი ეწრის უბანში და ნაგომრის ცენტრში, მცირე ხიდი(მილხიდი), სბავშო ბაღში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. შიდა გზები მოხრეშვით სამუშაოებს საჭიროებს, რამდენიმე კრიტიკულ მონაკვეთზე ბეტონის გზებია მოსაწყობი. დასამონტაჟებელია გარე განათებაც, რომელიც მხოლოდ ცენტრს მოიცავს, მოსახლეობა ითხოვს ნაგვის ურნებსაც. ყველაზე დიდი პრობლემა ამ ეტაპისთვის სოფელში წყალია, სოფლის წყლის სისტემას სრული რეაბილიტაცია ესაჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები ხორციელდება, რომელთა ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სოციალური ფონის გაუმჯობესებისაკენ. საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული პოლიტიკა, რომელიც საგადასახადო კანონში ახალ ცვლილებებს გულისხმობს, სტარტაფების დაფინანსება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილს და გაუუმჯობესებს დასაქმებას.

მე ყოველთვის მზად ვარ, გვერდში დავუდგე თითოეულ ჩემს თანასოფლელს, იქნება ეს სიტყვით თუ საქმით. ჩემი მთავარი მიზანი და ამოცანაა, გავამრთლო ნდობა, რომელიც სოფელმა გამომიცხადა“

საქსტატის მონაცემებით ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდა - ხალხი ეკონომიკის ზრდას ვერ „ამჩნევს"

მარი კოძოევი

ხელისუფლება ამბობს რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდაა. საქსტატის მონაცემებით, აპრილში ზრდამ 6.5% შეადგინა, ხოლო 2018 წლის იანვარ-აპრილში საშუალო ეკონომიკური ზრდა 5.5% იყო.2017 წელს საქართველოს ეკონომიკა 5%-ით გაიზარდა. 2016 წელს ეკონომიკური ზრდა 2.7%-ს შეადგენდა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვქონდეს მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი, მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვანია თვითონ ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა, რომ ის დოვლათი, რომელიც იქმნება ქვეყანაში, თანაბრად გადანაწილდეს ყველა მოქალაქეზე და მივიღოთ საქართველოში ინკლუზიური ტიპის ეკონომიკური ზრდა. ისეთი ზრდა, რომელიც შეეხება ჩვენს თითოეულ მოქალაქეს,"- განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, **მამუკა ბახტაძემ.**

„საჭიროა, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარება, იმისათვის, რომ მივაღწიოთ მთავარ მიზანს - ეს არის სიღარიბის საბოლოოდ აღმოფხვრა ჩვენს ქვეყანაში. მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ჩვენ დაგვჭირდება რამდენიმე წელიწადი იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას სიღარიბე", - ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე,



ნათელა ადაძე

ირაკლი კობახიძე.

ოზურგეთელები თვლიან რომ ზემოთ მოყვანილი ციფრები ჩვენს რეალობაზე არ აისახება.

ნათელა ადაძე: რა უკეთესობა, ამას უკეთესობა ქვია? ჩვენი ყველაფერი იაფია, მათი ყველაფერი ძვირი. გლეხები ყოველთვის ცოდვა ვართ. მე საკუთარ მოწეულ ბოსტნეულს ვყიდი მაგრამ ფასი არ აქვს. ამდენს ვწვალობ, სილაურიდან ჩამომაქვს კარტოფილი და 40 თეთრად ვყიდი.



ლილი ონიანი

ლილი ონიანი: პირადად ჩემთვის გაუარესდა მდგომარეობა. მგონი, ეკონომიკაში ზრდა კიარა პირიქით, კლებაა. მარტო გადასახადები გაიზარდა. ათასნაირ გადასახადებს იგონებენ რომ ფული ამოიღონ. ექიმთან მივდივარ, მაგრამ წამალს ვერ ვყიდულობ, ისე გაზარდეს ფასი. ამით ჩვენზე, მოსახლეობის ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედეს. ერთ თავ წამალს ვერ ვწვდები ჩემი შემოსავალით, არათუ ოთხს და ხუთს რომ მიწერს ექიმი.

ოთარ თედორაძე: ჯერ არ ასახულა ჩვენზე ეკონომიკური წინსვლა.ათი წლის წინ რომ იყო იმასთან შედარება არაა, უკეთესად ვართ, მაგრამ ბოლო წლებია ერთ წერტილზე გავჩერდით. არც უკეთესობაა, არც უარესობა. მე 82 წლის ვარ პენსიონერი. გვეუბნებიან ოცი ლარით 2019 წელს მოიმატებს პენსია, 20-ით 2020-შიო, არჩევნებია მაგ წელს. მაგრამ, მაინც არაფერს არ შველის 220 ლარი, არა. ვერაფერს ვერ ვყიდულობ ამით. ხორცს ვერ ჭამ, ყველას ვერ ჭამ. თუ რამე შემოსავალი არაა, ოჯახში მაგით არ ირჩინება თავი. წამალი აღარ უნდა ვიყიდოთ?! რუსეთში მართალია ჩვენზე დიდი ქვეყანაა, მაგრამ ჩვენს ფულზე ხუთასი ლარი აქვთ პენსია. მაგის გარდა აფთიაქში რომ მიდის წამლისთვის, ნახევარს იხდის ფულს. მეორე ნახევარს დაზღვევა უხდის. ამბობენ ჩვენთანაც მასე იქნებაო მაგრამ, როდის, ამ მაფიოზების ხელში? ოპოზიცია არ ვყოფილვარ არასდროს. პოზიცია ვიყავი გამსახურდიას პერიოდში, შევარდნაძის პერიოდშიც მარა რათ გინდა . თუგინდა ოპოზიციაში ვყოფილიყავი მაინც არაფერი არ იქნებოდა.



ოთარ თედორაძე



თამაზ ბაბილოძე

თამაზ ბაბილოძე: ჩვენ ვერ ვგრძნობთ ეკონომიკურ წინსვლას. უკეთესობის არაფერი ნიშანი არ ჩანს. ეს ხელისუფლება რომ მოვიდა დაგვპირდა, პენსიას მოგიმატებთო მაგრამ სად არის?! გლეხის შრომას ფასი არ აქვს. ფაქტიურად ვერც ვერაფერს ვაწარმოებთ, საქონელს ბრუცელიოზი დაემართა, ღორებს ჭირი, აქეთ ფაროსანები შემოგვესია, ხეხილს, ყანას ანადგურებს და მეტი რა გვაქ სოფელში. პენსიის ანაბარა ვარ და არ მყოფნის წამალში. ასე რომ, არ გაგვიმართლა ამ მთავრობამ. იმედი უფრო მეტის გვქონდა. უნდა მოცილდეს ბიძინა ივანიშვილი. ხალხი თავად უნდა მართავდეს ქვეყანას და არა ერთი ოლიგარქი. პრეზიდენტი და პრემიერი კარგი

რუსუდან ჩხაიძე

კაცია, მაგრამ ძალა არ აქვთ. უკეთესი ვინ მოვა?

რუსუდან ჩხაიძე: ეკონომიკური ზრდა კი არა, სიდუხჭირის ზღვარზე ვართ. 14 წელია სამსახური ვერ ვიშოვე, არადა 4 დიპლომი მაქვს. იძულებული გავხდი სახლში ვამზადებ ბავშვებს ქიმია-ბიოლოგიაში. უცხოეთიდან ჩამოჰყავთ ინჟინრები, როცა ქართველი ინჟინრები დაუსაქმებელია. ჩემ ოჯახში ოთხი ინჟინერი ვართ, დედმამიშვილები. ჩემი ძმები თვითდასაქმებულები არიან, წარმოება გააკეთეს, თორემ სახელმწიფო სამსახური არცერთს არ აქვს. უფროს ძმას მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებელი, ელმავალმშენებელ ქარხანაში მუშაობდა დამსახურებული სპეციალისტია. დაიშალა ქარხანა სადაც შეიძლებოდა ტანკის, თვითმფრინავის და მატარებლის აწყობა, მთლიანად განადგურდა. თანამშრომლები თურქეთში წავიდნენ და იქ მუშაობენ. სხვა ქვეყნებში არიან წასული რამდენიც გინდათ იმდენი. რატომ? როცა ჩვენ ქვეყანას ინჟინრები ჭირდება.ჩემმა ძმიშვილმაც საგზაო-საინჟინრო დაამთავრა და არ მუშაობს. ჩემ ოჯახს არ ვგულისხმობ მაგრამ ვხედავ როგორ უჭირს ხალხს. ისეთებს მოუხსნეს სოციალური დახმარება, ნამდვილად რომ სჭირდებოდათ. სოფლის მეურნეობაშიც რთული მდგომარეობაა. საწამლავი, სასუქი და სხვა საჭიროებები იმდენ ხარჯებზე მიდის, რომ მოვიყვანოთ ხილი ან ბოსტნეული აღარ ღირს. სოფელი თავს ვერ ირჩენს. ჩემს ძმას პატარა წარმოება რომ არ ქონდეს ოჯახს ძალიან გაუჭირდებოდა, როცა ყველას უმაღლესი განათლება გვაქვს.

სასკოლო საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალისტები ცნობილია

საჭადრაკო კლუბში დამთავრდა სასკოლო გუნდებს შორის ოზურგეთის მუნიციპალური საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ეტაპი, რომელსაც ფინალურ ჯგუფში (უმაღლეს ლიგაში) მონაწილე ექვსი საუკეთესო გუნდი უნდა გამოვლინა. თავიდან ჩემპიონატში მონაწილეობაზე მუნიციპალიტეტის 19 სკოლამ გააკეთა განაცხადი, მაგრამ საყოველთაოდ მიღებული დებულების შესაბამისად ყველამ ვერ შეძლო გუნდის დაკომპლექტება, ან უარი თქვეს გუნდის სათანადოდ მოუმზადებლობის გამო. სამაგიეროდ ქალაქის ორმა სკოლამ, სადაც წარმატებული მოჭადრაკეების საკმაოდ დიდი არჩევანი აქვთ (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლა და №2 საჯარო სკოლა) ისარგებლა ამავე დებულებით და ჩემპიონატში ორ გუნდით მონაწილეობაზე გააკეთეს განაცხადი. ისინი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მეორე გუნდებით წარსდგნენ, ხოლო პირველი გუნდები, რომელთა ძირითადი ბირთვი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის გამო ადგილზე არ იყვნენ, პირდაპირ დაიშვა ფინალში. ამავე მოტივით ფინალში თამაშის უფლება მიენიჭა წმ. ნინოს სახ. სამრევლო სკოლის საკმაოდ ძლიერ გუნდს.

ჩემპიონატში მეტოქე გუნდები ერთმანეთს ოთხ დაფაზე წრიული სისტემით ეპაექრებოდნენ, რასაც სულ 60 პარტიის გათამაშება დასჭირდა. მართალია ფინალური ეტაპის სამივე საგზური ქალაქის გუნდებმა მოიგეს, მაგრამ სოფლის გუნდებიდან კარგად ასპარეზობდნენ ქვემო ნატანების, სოფ. ოზურგეთის და ასკანის საჯარო სკოლები. საბოლოოდ ჩემპიონატი წაუგებლად ჩაატარა და 5 შესაძლებლობიდან 4,5 ქულით პირველი ადგილი აიღო №2 საჯარო სკოლის მეორე გუნდმა (**ნიკა ბარამიძე, ზურა ანდღულაძე, გიორგი ღლონტი და დავით მეგრელიშვილი**. მწვრთ.-მეთოდისტი **ნინო წიტაიშვილი**). მეორე გუნდით გამოიჩინა თავი ასევე წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახ.სამრევლო სკოლამ (**ლუკა მეგრელაძე გიორგი ბეჟუაშვილი , გიორგი ქუტიძე და გიორგი ღლონტი**. მწვრთ.-მეთოდისტი **ეკა ქუტიძე**), რომელმაც 3,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ფინალისტი ქალაქის №4 საჯარო სკოლა გახდა (**სბა ფერაძე, კახა ცხომელიძე, ზურა მგელაძე, ლუკა ღლონტი**).

დაფების მიხედვით პირველი ადგილები აიღეს: I დაფა -ნიკა ბარამიძე (№2 საჯარო.სკ)–4,5 ქულა 5-დან); II-დაფა-**ზურა ანდღულაძე** (№2 საჯარო .სკ) –4,5; III-დაფა–**გიორგი ქუტიძე** (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკ.) –4,5; IV–**ლუკა ღლონტი** (№4 საჯარო სკ.)–5 ქულა 5-დან. თავიანთ დაფებზე კარგი შედეგები აჩვენეს ასევე **ნუგზარ შარაძემ** და **სბა ბაკურაძემ** (ორივე სოფ.. ოზურგეთი)–4 და 3,5 ქულა; **გიორგი ღლონტმა**(№4 საჯ.სკ.)–4; **გიორგი ღლონტმა** (№2 საჯარო.სკ.)-4; **დავით ჩხაიძემ** (ქვ.ნატანების საჯარო .სკოლა)-3,5 ქულა.

პირველ-მესამე ადგილზე გასული სკოლის გუნდები შეურთდება ფინალისტებს და წრიული სისტემით იბრძოლებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ფინალური ეტაპი დაიწყება 6 ივნისიდან, რომელსაც უმასპინძლებს გურიის ოლიმპიური კომიტეტის ოზურგეთის ოლიმპიური სახლი.

გოდერძი მახარაძემ გინესის 5 ახალი რეკორდი დაამყარა

ალიონი. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გინესის (მსოფლიოს) მრავალგზის რეკორდსმენმა გოდერძი მახარაძემ, ქალაქ ოზურგეთში, „ჭადრების" ბაღში, ერთდროულად გინესის 5 ახალი რეკორდი დაამყარა.

თავდაპირველად მან ბურთის თავით კენწვლის არსებული რეკორდი (30 წამში –100 აკენწვლა) გააუმჯობესა და 113-ჯერ აკენწლა ბურთი; მომდევნო რეკორდიც ბურთის თავით აკენწვლის (5 წუთში –838) გააუმჯობესა და 990-ჯერ აკენწლა;

მესამე რეკორდიც თავით ბურთის კენწვლაში გალდათ: (10 წუთში –1730). მან ამჯერად 1758-ჯერ აკენწლა ბურთი;

მე-4 რეკორდი კი კვლავ თავით ბურთის კენწვლა იყო. 30 წუთში არსებული 4000 აკენწვლის ნაცვლად მან 4160-ჯერ აკენწლა ბურთი; მე-5 რეკორდი ბურთის ფეხით კენწვლა (გაუნძრევლად) 1 საათსა და 18 წამში იყო. გოდერძი მახარაძეს კი ბურთი 1 საათსა 38 წამი არ ჩამოვარდნია.

გინესის (მსოფლიო) რეკორდის დამყარების პროცესს კომპეტენტური ჟიური აკვირდებოდა.

VII საგაზაფხულო გამოფენაზე

თემურ მარშანიშვილი

26 მაისს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის VII საგაზაფხულო გამოფენაზე დამთვალიერებელთა სიმრავლე არამც და არამც არ უკავშირდება იმას, რომ ოზურგეთი, ისევე, როგორც მთელი ქვეყანა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლისთავს ზეიმობდა. გურიაში მოღვაწე ფერმწერებს და სახვითი ხელოვნების სხვა სპეციალისტებს ყოველთვის ჰყავდათ და ეყოლებათ ქომაგი და შემფასებელი, რამეთუ ოზურგეთი არა მხოლოდ ფოლკლორის, არამედ სახვითი ხელოვნების ქალაქიცაა.

მაინც რამდენმა ადამიანმა ნახა იმ დღეს ეს საოცარი VII საგაზაფხულო გამოფენა? სტატისტიკა არ გვიწარმოებია, მაგრამ, ალბათ, თითქმის იმდენმა, რამდენმა ოზურგეთელმა და ოზურგეთის სტუმარმა იზეიმა ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი დღესასწაული.

თეთრი საგამოფენო დარბაზი 30-მდე მხატვრის 100-მდე ნამუშევარს დაეთმო. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გამოფენებზე აქ რაოდენობრივად მეტი ნამუშევარიც მინახავს, მაგრამ, ალბათ, თითო-ოროლა თუ იყო შემოქმედებითად ასეთი მრავალფეროვანი და საინტერესო. წინამდებარე წერილის ავტორმა, როგორც სახვითი ხელოვნების რიგითმა მოყვარულმა ამ ასეულში სუსტი ნამუშევარი ვერ აღმოვაჩინე, ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ სხვა, უფრო დინამიკურმა სადღესასწაულო ღონისძიებებმა ვერ გადაფარა ფერთა ჰარმონიის ნამდვილი დღესასწაული, რომლის შემქმნელად მოგვევლინენ როგორც გამოცდილი, ისე ახალბედა მხატვრები.

იმ მიზნით, რომ წერილი მომემზადებინა, გალერეას 28 მაისსაც ვეწვიე, სათითაოდ „დავთირე“ ყველა ნამუშევარი, რათა დარწმუნებულიყავი, რომ საქმე გვაქვს მაღალ ხელოვნებასთან.

აბა, სხვა რა ვუწოდო თამაზ დარჩიას „მოლოდინს“, რომელიც, ჩემი აზრით, ამ მხატვრის შემოქმედების გვირგვინია. ფუნჯი თამაზს არ ეშლება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სასწაული პორტრეტი, ფუნჯზე უფრო, მხატვრის სულმა შექმნა.

სასიამოვნო განწყობით დამმუხტა გიორკი მკოიანის ნახატმა „ჩემი მასწავლებელი“ (პორტრეტი), საიდანაც მირონივით იღვრება ვარსკვლავოსანი შემოქმედის, ბატონი ვახტანგ მამეიშვილის მზიანი სითბო.

რაც შეეხება თვით ბატონ ვახტანგ მამეიშვილს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ თვალის საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა, როგორც ამ გამოფენაზე მისი ავტორობით გამომზეურებული ნამუშევრები გვიჩვენებს, ის ძველებურად, მამა-პაპურად ხედავს მზეს.

განსაკუთრებულად მომეწონა ნანა ბებურიშვილის „პაემანი“, რომელშიც შემოქმედმა მეწამულისფერი ქოლგით დაიფარა შეყვარებულების პირველი კოცნა.

უფალი სუნთქავს და სული ზეობს ნანი ჭანუყვაძის რუდუნებით შექმნილ, სანთლის მინიატურულ, ნატიფ ქმნილებებში, რომლებშიც თითო ნახვისას მინიმუმ თითო სიახლეს მაინც აღმოაჩენ...

უკვე ვთქვი, რომ აქ სუსტი ნამშევარი ვერ ვნახე-მეთქი. კი, შევუდექი ჩამოთვლას, ვინ და რა მომეწონა, მაგრამ, ბოლომდეც რომ გავიდე, ვერც საგაზეთო ფორმატი ამითავდება და ვერც წარმოადგენას შეგიქმნით სრულყოფილად ამ მეტად გემოვნებიან გამოფენაზე, რადგან გაგონილსა და მოთხრობილს მაინც ნანახი და განცდილი სჯობს.



ამიტომ, ვისაც არ გინახავთ, ხელიდან ნუ გაუშვებთ მაღალი ხელოვნების ხილვის კარგ შანსს, ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში – სამხატვრო გალერეაში გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის VII საგაზაფხულო გამოფენა 18 ივნისამდე გასტანს.

„ჭადრების ბაღის“ ოჯახის წევრები

ნაწილი II

(ნაწილი I იხილეთ გაზ. „ალიონი“, №19, 2018 წ.)

ისე არსად არ უყვართ თავისი გარდაცვლილი ახლობლის გახსენება, როგორც ჩვენთან, საქართველოში.

მრავალი ოზურგეთელის თხოვნით, მინდა, „ჭადრების ბაღის“ ოჯახის წევრების“ II ნაწილი შემოგთავაზოთ, რამეთუ გაზეთის მიერ გამოყოფილი ფართი საკმარისი არ აღმოჩნდა ამ ხალხის სიის სრულყოფილად გამოქვეყნებისათვის:

–სოსო სალუქვაძე, - ჰიდროინჟინერი, წყალთა სამმართველოს ყოფილი თავკაცი;

– **ანდრია ერქომაიშვილი,** - მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგი, ფიზიკა-მათემატიკის წარჩინებული;

–ილუშა ჯინჭარაძე, - მუსიკოსი, უკრავდა ყველა სახის მუსიკალურ ინსტრუმენტზე; მღეროდა ანსამბლ „შვიდკაცაში“;

– **ბორის გეგეჭკორი,** - საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, კაცური კაცი;

– **ნიკუშა მახარაძე,** - შსს-ს გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი;

–ილია ბილიხოძე, - წარმატებული სპორტსმენი, ხელბურთელი, ფეხბურთელი და ფრენბურთელი;

– **გურამი გოგიბერიძე**, - სწავლული აგრონომი;

– **საშურა მაისურაძე,** - ნავთობბაზის თანამშრომელი;

– **რეზო კოპალეიშვილი,** - ექიმი, იმდროინდელი მახარაძის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე;

– **ია ღლონტი**, - მელექედურის ჩაის ფაბრიკის ყოფილი დირექტორი;

– **გივა ცხოიძე,** - ინჟინერ-მშენებელი;

– **ლერი ცომაია,** - წარმატებული მხატვარი;

– **იური ჩავლეიშვილი,** - მახარაძის ციტრუსების დამზადების ყოფილი დირექტორი;

– **დოდიკა ორაგველიძე**, - რაიაბრეშუმის კომბინატის აგრონომი;

– **გურამ მჟავია**, - ვეტექიმი;

– **ია ინგოროყვა,** - წყალსადენების ქსელის დირექტორი;

– **ნოდარ ნაკაიძე** (კუტია), - ისტორიკოსი;

– **იური ჯიჯიეშვილი,** - ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი და რეჟისორი;

– **ზაური ჯანიაშვილი,** - წარმატებული ხელოვანი, მოცეკვავე, ქორეოგრაფი; ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი;

– **რაულ ჩავლეშვილი,** - საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ფეხბურთელი;

– **თამაზ გოგეშვილი**, - ავტოინჟინერი;

– **მარლენ დოლიძე**, - ადვოკატი, იურისტი;

– **მიშა რუხაძე,** - საჯარო სკოლის დირექტორი;

– **ანტონ თავამაიშვილი,** - ფიზიკა-მათემატიკის ლექტორი, მღეროდა ანსამბლ "შვიდკაცას" პირველ თაობაში;

– **ზაურ ქუტიძე,** - ავტოინჟინერი;

– **პეტრე ორაგველიძე,** - ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი;

– **რეზო ლომაძე,** - ინჟინერი; მანვე ააშენა ოზურგეთის ცენტრალური უნივერმაღი;

– **სიმონ ეთერაშვილი**, - იშვიათია, ებრაელმა კაცმა ფიზიკურად იშრომოს; იყო პარკეტის დამგები; ოზურგეთზე შეყვარებული;

– **გურამ შარაშენიძე,** - მშენებელი ინჟინერი;

– **საშა ზაქარიაძე**, - წარსულში ცნობილი სპორტსმენი, ფიზკულტურის პედაგოგი;

- **მიშა შარაშიძე,** - ინჟინერი, მახარაძის საბურავების ქარხნის მთავარი ტექნოლოგი, არაჩვეულებრივი პიროვნება;

– **ვაჟა ჭყონია,** - წარმატებული ფეხბურთელი, მახარაძის „მერცხალის“ ნახევარმცველი, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი;

– **გოდერძი ვაშაყმაძე**, - ტურიზმის ბიუროს თანამშრომელი;

– **გურამ ჯაბუა,** - აგრონომი;

– **ვალოდია თავბერიძე,** - სპორტსმენი, სპორტსმენი, მახარაძის „მერცხალის“ ცენტრალური მცველი.;

– **გურამ კიღურაძე** (გუტა), - წარმატებული მოტომრბოლელი;

– **გივი კომახია,** - სწავლული აგრონომი; ჰქონდა ულევი იუმორის გრძნობა;

– **მინდია თავაძე,** - საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი;

– **რატი ღლონტი**, - ექიმი, პედიატრი, წერდა სტატიებს გურულებსა და გურიაზე.

– **გოდერძი შარაშენიძე,** - სწავლული აგრონომი;

– **ოთარ თევდორაძე**, - ეკონომისტი;

– **ოთარ აბაშმაძე,**- ეკონომისტი.;

– **რამაზ მორჩილაძე,** - პირველი სპორტის ოსტატი ჭიდაობაში;

– **ანზორ ლომაძე,** - საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; წვრთნიდა ახალგაზრდა თაობას ჭიდაობაში;

– **მურმან ქადეიშვილი,** - ქვაზე კვეთის ოსტატი, ინტალიო; წარმატებული მხატვარი; ჰქონდა არაჩვეულებრივი იუმორი;

– **კახა ჭანუყვაძე** (შოთას ძე), - ინჟინერ-ტექნოლოგი;

– **ვოვა სიხარულიძე,** - მწერალი და საზოგადო მოღვაწე;

– **ზაურ თოხაძე,** - ინჟინერი; ცხოვრობდა თბილისში; თავისუფალ დროს ოზურგეთის ჭადრების ბაღში ატარებდა;

– **ბაჩო ურუშაძე**, - უმაღლესი სასწავლებლის დირექტორი;

– **ტესა ბაქანიძე**, - თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ჭადრების ბაღში გაატარა; იყო უაღრესად კეთილშობილი პიროვნება;.

– **გიორგი გოგუაძე** (ბუსკუ), - გაზიფიკაციის ტრესტის მმართველი;

– **მერაბ თოიძე**, - ექიმი, სტომატოლოგი;

– **მამუკა თოთიბაძე,** - რადიოინჟინერი. 50-60-იან წლებში ოზურგეთი განთქმული იყო რადიოსახელოსნოთი.

ბახუტა ოთხმეზური

ანდრო სადრაძე – საქართველოს ჩემპიონი კარატეში



2018 წლის 11-12 მაისს ქ. თბილისში, ძიუდოს აკადემიის დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. ოზურგეთის ტაიკვანდოს სკოლის წარმომადგენლები, სულ 8 სპორტსმენი.

შეჯიბრი მიმდინარეობდა ორ ასაკობრივ ჯგუფში: 16 წლამდე და 16 წელს ზევით.

15-16-წლიანებში, 92 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა 2002 წელს დაბადებული **ანდრო სადრაძე.** მან ორი ბრძოლა გაიარა, პირველი ორთაბრძოლაში თბილისელი სპორტსმენი დაამარცხა, ხოლო ფინალში ბათუმელ სპორტსმენსაც სძლია.

ტურნირი, რომელშიც 280 სპორტსმენი მონაწილეობდა, მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული.

ოზურგეთის ტაიკვანდოს სკოლამ ბოლო 2 თვის განმავლობაში 3 ტურნირში მიიღო მონაწილეობა, საქართველოს და საერთაშორისო ტურნირებში და 6 მედალი მოიპოვა. 1 ოქრო და 2 ვერცხლის მედალი – თელავის ღია ჩემპიონატზე ტაიკვანდოში, 2 ვერცხლის მედალი – საერთაშორისო ტურნირზე სავატეში (ფრანგულ კიკბოქსინგში) და 1 ოქროს მედალი – კონტაქტურ კარატეში.

გუნდის ხელშეწყობისა და დაფინანსებისთვის მადლობას ვუხდით ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას და სპორტული გაერთიანების დირექტორს ბატონ გელა შაფაქიძეს.

ირაკლი ტულუში.

სულთათანა

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ტელეკომპანია „გურიას“ დირექტორს ავთო გველებიანს მამის **ვახტანგის** გარდაცვალების გამო.

განცხადება

იყიდება 9 400 კვ. მ მიწის ნაკვეთი ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.

***

იყიდება 300 კუბური მეტრი დახერხილი კედარის მასალა.

ტელ. 599 58 75 32.

***

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება ყველაზე იაფად და ხარისხიანად

ტელ: 598 00 53 53

სკანვორდი





№ 21-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – მანანა ორბელიანი; ქიმიური ელემენტი – იოდი; ნ. კოპოლას ფსევდონიმი – კეიჯი; ატლანტის ოკეანეზე პირველი გადამსვლელი – ლინდბერგი; ვულკანი კოლუმბიაში – გალერასი; ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი – ედუ; გამოჩენილი ფიზიკოსი – კიური; ანბანის მე-5 ასო – ე; ქალის სახელი – ლაურა; კედლის ჭაღი – ბრა; ტემპერატურული სკალა – რომიური; მოსწავლის პასუხი გვარის ამოძახებაზე – ვარ; არაპირდაპირი – ირიბი; მდინარე ირლანდიაში – მოი; ნართის საზომი – შულო; კურორტი აჭარაში – ბეშუმი; უცნობი სიდიდე – იქსი; ვინც ტრიუკს ასრულებს – კასკადიორი; ფარვანა – პეპელა; ქალაქი იმერეთში – ტყიბული; კახეთის დამარწყულებელი – ალაზანი; კომპიუტერული ტერმინი – ფაილი; მეტყველების ორგანო – ენა; ხელოვნური ენა – ესპერანტო; კარგი გურულად – კაი; ნახვამდის – ჩაო; ჯიუტი – ურჩი; ირლანდიელი მწერალი – ბეინომი; მე-5 ნოტი – სო; მექისის წინსაფარი – ფუტა; რიცხვი – ორი; თეთრი და შავი მდინარე საქართველოში – არაგვი; კანადის უდიდესი ქალაქი – ტორონტო.

სიმონ სურგულაძე



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე 1919 წ. მარტის 12-ს, ქუთაისი და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საკუთრით ფლობს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაუოდღევის 5 სა. და 10 წ. თებერვალში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

2000 წლის სექტემბერში შვეიცარიაში, ქ. ციურიხში შვეიცარიელი ქართველოლოგის, ლეა ფლურის კერძო კოლექციაში აღმოჩინა და საქართველოში ჩამოიტანა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დედანი შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ, გურამ შარაძემ.

1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევს 5 საათსა და 10 წუთზე ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე, ნოე ჟორდანიამ საზოგადოებას გააცნო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ხელახლა მიიღო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. სწორედ ამ აქტზე აწერს ხელს სიმონ სურგულაძე, ხელმოწერა დაფიქსირებულია სიით ოცდამეცამეტედ, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

სიმოს სურგულაძე დაიბადა სოფელ კვაჭალათში (ლიხაურის თემი) მის შესახებ მწირი ცნობებია შემონახული. მისი მეუღლის მხოლოდ სახელია — ანეტი ცნობილი. სიმონსა და ანეტის 5 შვილი ჰყოლიათ. ორი ბავშვობაში გარდაცვლილა, ცოლი და ქმარი ერთდროულად დაღუპულან იმ დროს გავრცელებული „ისპანკით“ (ესპანეთიდან შემოსული გრიპი), დაახლოებით 1920 წელს. მთავრობამ ობლები აპეკუნებთან (მეურვეები) მიაბარეს. აპეკუნებმა როგორც გადმოგვცემენ მშობლების დანატოვარი ქონება ობლებს არ შეარჩინეს, გაუნიავეს.

სიმონის სამი შვილის: თამარის, მამიას და ლუბას ბედი შემდეგნაირად წარიმართა: უფროსი ქალიშვილი თამარი ორჯერ იყო ქორწინებაში. პირველი მეუღლე გიორგი აბაშიძე — ცხოვრობდნენ ბათუმში, ჰყავდათ ერთი შვილი. მეორედ თბილისში ვლასი ფანჯავიძეზე იქორწინა, რომელთანაც შეეძინა ერთი შვილი ლალი და ორი შვილიშვილი მერაბ და თამარ დოლიძეები. თამარი გარდაიცვალა 1958 წელს.

მამია იშვილა მაკვანეთელმა სურგულაძეებმა, მამიას მეუღლე იყო მარგო ტურიაშვილი (კომპოზიტორ დავით ტურიაშვილის მამიდა). ჰყავდა ერთ შვილი ირმა და ორი შვილიშვილი გიორგი და ლევან ტულუშები. მამია გარდაიცვალა 1989 წელს.

მესამე შვილის ლუბას შთამომავლები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ოზურგეთში. ჯერ ლუბა სურგულაძის შესახებ პატარა ლუბა ,ყოველგვარი ქონების გარეშე იშვილა ივანე ნაკაიძემ სიმონის მეგობარმა. ივანეს და მის მეუღლეს ფლორენციას სამი შვილი ჰყავდათ: ალექსანდრე ,შოთა და მამია. მათ მეოთხე შვილად აღზარდეს და შეიყვარეს ლუბა, რომელსაც ყოველთვის დად მოიხსენიებდნენ ბიჭები.

ლუბა ცოლად გაჰყვა პეტრე სალუქვაძეს, რომლის მამა არსენი იყო აჭის წმინდა გიორგის ეკლესიის დიაკვანი (ცნობილი თამარის ჯვრის შენახვის და დაფარვის ანდერძის ავტორი). საბჭოთა ხელისუფლებამ პეტრე სალუქვაძე დაიჭირა, როგორც მენშევიკების სიძე და მხოლოდ წლეების შემდეგ იქნა რეაბილიტებული. ლუბა გარდაიცვალა 1992 წელს. პეტრეს და ლუბას ჰყავდათ ერთი შვილი ვახტანგ სალუქვაძე (ოზურგეთის რაიონის მოსამართლე) აწ გარდაცვლილი, მისი მეუღლე გახლავთ გუგული გოგუა (ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი). მათ ჰყავთ ორი შვილი ლელა და პეტრე სალუქვაძეები, პეტრეს შვილები ვახტანგი და სანდრო, დედა ლელა ლომაძე ცხოვრობენ ოზურგეთში, ალექსანდრე წუწუნავას ქუჩაზე.

მანანა ლომაძე-
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-21

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



გურიელის სასახლე

1608 წლიდან გურიასა და ოზურგეთში იმყოფებოდა ქართველთა სულიერი მოძღვარი, იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის მამა ნიკიფორე ირუბაქიძე ჩოლოყაშვილი. საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერის ცნობით: აქ არის წმინდა ქვეყნის ერთი რწმუნებული გამოგზავნილი იერუსალიმის პატრიარქის მიერ ზემოხსენებული წმინდა ადგილებისათვის შესაწირავების შესაგროვებლად. როგორც ოდიშში, ანუ სამეგრელოში ისე იმერეთში, რომელიც არის საქართველო და გურიაში.

1615 წლის 2 მარტს კათოლიკე მისიონერის ლუი გარანჟიეს მიერ რომის ეკლესიის ხელისუფლთათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ. გურიის ქვეყანაში „კათოლიკების თესლი დათესა ერთმა ქართველმა მონაზონმა, რომელმაც 12 წელიწადი გაატარა გურიაში“-ო.

აკად. კორნელი კეკელიძის ცნობით ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ბავშვობაში მოხვედრილა რომში და იქ სწავლის მისაღებად შესულა ადგილობრივ ბერძნულს სკოლაში... 12 წლის შემდეგ ის დაბრუნებულა საქართველოში, შესაძლოა... რომიდან ის ბუნებრივია დასავლეთ საქართველოში შემოვიდოდა, აქ ის დარჩენილა რამდენიმე წელიწადს და სწორედ ამ დროს დაუთესია მას გურიაში თესლი კათოლიკებისა, რომლის შესახებ ლუდვიკ გრანჯერიოსი მოგვითხრობს.

გურიაში მყოფი კათოლიკოსების მთესველნი - პატრი გვილერმო და ნიკიფორე ირბახვი სავსებით ბუნებრივია, რომ გურიის მაშინდელი მთავრის მამია გურიელის (1660-1625) ნებისა და სურვილის გარეშე კათოლიკურ ქველმოქმედებას ვერ განასახიერებდნენ, რაც იმთავითვე მიგვინიშნებს მათ ყოფასა და მოღვაწეობაზე ოზურგეთისა და მის მიდამოებში.

ძველი ოზურგეთი, როგორც ქალაქი, მოხსენებულია და აღნიშნული 1737 წელს იმერეთის მეფის სოლომონ III-ის ბრძანებით შედგენილ რუკაზე, სადაც ჩახაზულია იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა პუნქტი... რუქის შემდგენელის მიხედვით ამ დროს იმერეთში იყო „ქობულეთის ქალაქი“, “ოზურგეთი და მისი ქალაქი“.

ამ დროისათვის XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს „მცირე ქალაქები“ თავიანთი წარმოშობის მიხედვით სამჯგუფად იყოფიან:

1. სანავსადგურო სიმაგრეებთან;
2. საეპისკოპოსო კათედრალებთან და
3. მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებთან წარმოქმნილი ქალაქები.

ისე როგორც საქართველოში ყოველ ქალაქის უმთავრეს საქმიანობას, ასევე ოზურგეთის ძირითად წარმართველ როლს მოურავი ასახიერებდა. მოურავი ქართული წარმომავლობის ტერმინი უნდა იყოს. იგი შესატყვისია რუსული „გუბერნატორისა“.

მოურავზე უწინარეს ამ სახელის — ამ თანამდებობის მფლობელს „ამირათ ამირა“ ეწოდებოდა, რომელიც თურქულ-სელჯუკური წარმომავლობისაა.

სწორუპოვარი სარდალი და ხმალთა კვეთებაში შეუპოვარი გიორგი საკაძე, 1608-1609 წლების სიგელში, რომელიც შემდგომში ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ ლუარსაბ მეორეს მიეწერება, იგი „ამირათ ამირად“ იწოდება, ხოლო შემდგომ: 1610-1615 წლებში ამავე მეფის მიერ გაცემულ საბუთებში გიორგი საკაძე უკვე თბილისის „მოურავად“ იხსენიება.

რაც შეეხება „ამირათ-ამირას“ ეს ტერმინი ყოველთვის უწინარეს იხსენიება 1408 წლით დათარიღებულ ცირღილაძეთა სასისხლო და 1544-45 წლებში კალანდაძეთა სასისხლო სიგელებში.

დიდ ქალაქებში მოურავს მეფე ნიშნავდა, სამთავრო ქალაქებში მთავარი, გურიაში გურიელი. ოზურგეთის მოურავის უფლება— მოვალეობანი გურიელის მიერ იყო განსაზღვრული. მისი სარგო და გასარმჯელო შემოსავლის მიხედვით განისაზღვრებოდა ნატურის საფუძველზე.

ოზურგეთის მოურავს უნდა განეგო და განესაზღვრა ყოველივე ის, რაც ქალაქში მთავრის გურიელის ბრძანებით, მისი ნებითა და სურვილით უნდა აღსრულებულიყო. მთავარი ყოველთვის უპირველისად თავის ბრძანებას ქალაქის მოურავს აცნობებდა, რაც შემდგომ დაუყოვნებლივ უნდა განეხორციელებია მოურავს ცხოვრებაში.

ოზურგეთის მოურავს ოზურგეთის ეკონომიკური ყოფისთვის მისი ეკონომიკური ცხოვრებისათვის უნდა ედარაჯა და ედევნებინა თავლყური. მოურავს მხედველობის არედან არ უნდა გამორჩენოდა საბაჟო გამოსაღების აკრება. ამ საკითში მას ემორჩილებოდნენ მებაჟენი, ბაჟის მოიჯარადრენი, ქალაქში შემოტანილ პროდუქტებზე მთავარი ნიხრს აწესებდა, ყველაფერი ამ ნიხრის მიხედვითაც უნდა გაყიდულიყო, ნიხრის მიხედვით გასაყიდი პროდუქციისა თუ საქონლის მიმართ მოურავი უმთავრეს მეთვალყურედ ითვლებოდა. ნიხრის დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა ფულადი გამოსაღებით.

1790 წელს გურიის პატრონმა, სვიმონ გურიელმა, გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია გურიელის მამამ, ოზურგეთს მოურავობა „ხელთ უდვა როსტომ ნაკაშიძეს, იგი იყო ოზურგეთის ეკონომიკური ყოფის თვალი და პატრონი.

1807 წელს ეს სახელი მამია სვიმონის ძე გურიელმა ლაზარე ნაკაშიძეს უწყალობა.

1814 წლის საბუთებში ოზურგეთის მოურავად იმავე მამია მეხუთე გურიელის ზეობის ჟამს ოზურგეთის მოურავის სახელი ისევ როსტომ ნაკაშიძეს ეპყრა ხელთ.

1808 წელს იმერთ მეფე სოლომონ მეორემ, რუსთაგან მრავალგზის ტანჯულმა და შემდგომში მათგანვე ტახტ წაგვრილმა. იმერეთის სამეფო ქალაქების ბაზრობებზე გასასყიდი საქონლის ნიხრი დააწესა, რასაც ქვეყნის ერთგული და თავდადებული მეფე შემდეგი გარემოებით ხსნიდა:

„ხალხის მდგომარეობა (იმერეთის სამეფოში) მეტად მძიმეა, რადგან მას ხელმისაწვდომ ფასებში არ შეუძლია საჭირო საგნების შეძენა, განსაკუთრებით „შეჭირვებულებსა და გლახაკებს“. ასეთი მდგომარეობა გამოცხადებულია „აღშლილ წესად“, რომელიც უკანონო ვაჭრობის მოაზრეებმა საკუთარი გამდიდრების მიზნით შექმნეს.



კასტელის ჩანახატი

მსგავსად იმერთა უკანასკნელი მეფისა, სოლომონ მეორისა, გასასყიდ საქონელზე ფასების ნიხრი გურიის უკანასკნელი მთავრის აღმზრდელმა ქაიხოსრო მეორე გურიელმაც შემოიღო, და ნიხრის აღსრულებაზე თავლყურის დევნება ოზურგეთის მოურავს ლაზარე ნაკაშიძეს დაავალა.

ქაიხოსრო გურიელი, „კაცი მაღალი გონების“ და ფრიად განათლებული, ამ ღონისძიების კეთილდღეობისა და ვაჭართა ბოროტმოქმედების ასალაგმავად საშუალებად აცხადებდა. (ღონისძიების დაწესების ჟამს) ნათქვამი იყო: რომ გასასყიდ საქონელზე მუდმივი და განუყრელი ფასები უნდა დაწესდესო. აქვე განსაზღვრული იყო ფასების გარკვეული რაოდენობით შემცირებაც. ნიხრის „წესდების“ ბოლოში მითითებული იყო:

„ვინც აღნიშნული ნიხრით დაწესებულ ფასზე უფრო ძვირად გაჰყიდის, მას გადაეხდევინოს როგორც გურიელისა და როგორც ხალხის მოღალატეს; გურიელის სასარგებლოდ ჯარიმა 100 მარჩილი. ამის გარდა, ვინც აღნიშნულ საგნებს გურიიდან გაზიდავს გასასყიდად, გასასყიდი საქონელი იმის იქნება, ვინც მას დაიჭერს, ხოლო ჯარიმა 100 მარჩილს გურიელს გადაუხდის“.

ენვერ გოგუაძე

ყველა პატარას ვულოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ეთიდღეობას, დაცულ ერთიან ქვეყანაში ცხოვრებას

ტარიელ (გელა) აროშიძე

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ვულოცავ ყველა პატარას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას, ნარმატებებს მომავალ ცხოვრებაში.

ვასო ჩიგოგიძე

ოზურგეთის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

გამოფენა სამხატვრო სკოლაში

მარი კოძოევი

პირველ ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის სამხატვრო სკოლამ, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოაწყო. მთელი წლის ნაშრომებიდან, დახვეწილობითა და გემოვნებით გამორჩეულები შეარჩიეს და დამთვალიერებელს წარუდგინეს. სკოლისთვის ბავშვთა დღეს მოწყობილი გამოფენები, უკვე 10 წელია, ტრადიციად იქცა. წელსაც ჩვეულებას არ უღალატეს და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულს შეუერთდნენ. გამოფენა სკოლის დირექტორმა, კახა ვასაძემ გახსნა. სტუმრებს მოესალმა, გულშემატკივრობისთვის მადლობა უთხრა. ამის შემდეგ სიტყვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და გენდერულ საკითხთა სამსახურის უფროსი, მარინა ვაფარიძე: იმედი მაქვს, აქ წარმოდგენილი პატარა მხატვრებიდან საქართველოს ბევრი საინტერესო მხატვარი თუ არა, სახვით ხელოვნების აღმქმელი მაინც შეემატება. მადლობა ჰედაგოგებს რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ. ჩვენ ვხედავთ რა ინფრასტრუქტურაში ვიმყოფებით. ამ მძიმე

პირობებში თქვენ ბავშვებს სულიერებას უვითარებთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების უფროსი მაიზერ ცელაძე: –ჩვენ არაერთი მაგალითი ვნახეთ იმისა, რომ ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში გაზრდილების შემოქმედება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გალერიებში გამოიფინა. მეც ვიყავი ამ სკოლის მოსწავლე და თუკი რამე შტრიხი არსებობს ჩემში ,ხაზის გასმის ამ სკოლის დამსახურებაა.

ბოლოს კახა ვასაძემ, მარინა ვაფარიძემ და მაიზერ ცელაძემ გამოფენის მონაწილე ბავშვებს სიგელები და წიგნები გადასცეს საჩუქრად.

საქციო საზოგადოება „იმედი" გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

კომპანია –„NOVA-ს“ ოზურგეთულ ბრენდში, მაღაზია „ლიზი-2-ში“ მიღებულია:

– უკრაინული ბრენდის „დნიპროს“ ელექტროტექნიკა;
–„დიოს“, „ბეტეკას“, „ჰენოტექსის“ მაღალხარისხოვანი საღებავები;
– „ვიოლა პრამის“ დეკორატიული საღებავები;
– ყველა სახის ცემენტი, ფითხი („შპაკლი“);
– საზღვარგარეთული სხვადასხვა ზომისა და ფორმის კარები, კედლის პანელი, პლასტიკატები, მეთლახი, კაფელი, გრანიტი;
– აბაზანისა და ტუალეტის აქსესუარები; – ავზები, სანტექნიკისათვის საჭირო მასალები, ელექტრონათურები ერთწლიანი გარანტიით...
„ლიზი-2“ – ფართო ასორტიმენტი, მაღალი ხარისხი, ხელსაყრელი ფასები, საუკეთესო სერვისი!

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +15+22	მზე ღრუბელი +16+24	მზე ღრუბელი +15+28	მზე ღრუბელი +15+24	მზე ღრუბელი +15+21	მცირე წვიმა +16+22	მზე +19+24
4 ივნისი ორშაბათი	5 ივნისი სამშაბათი	6 ივნისი ოთხშაბათი	7 ივნისი ხუთშაბათი	8 ივნისი- პარასკევი	9 ივნისი შაბათი	10 ივნისი კვირა